პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
კვირა 7 ოქტომბერი
№ 231 (17576)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სოციალიზმისა და მშვიდობის სწორი კურსით

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკუთარი კორ.). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის სახელოვან იუბილეს ოცდაათ წლისთავს მიეძღვნა დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს საზეიმო სხდომა.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს — ლ. ი. ბრეჟნევს, ე. ჰონეკერს, ტ. ჟივკოვს, ი. კადარს, ი. ცედენბალს, ე. გერეკს, გ. ჰუსაკს სხვა ქვეყნების, პოლიტიკური პარტიებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების დელეგაციათა ხელმძღვანელებს.

საზეიმო სხდომა გახსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის საოკრუგო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ნაუმანმა.

ჟღერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ერიხ ჰონეკერმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომელსაც დარბაზში შეკრებილმა ამხანაგებმა მქუხარე ოვაცია გუამართეს. სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ჰონეკერ!
ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენთვის დიდი სიხარულია, რომ ამ სადღესასწაულო დღეებში აქ ვიმყოფებით, თქვენთან ერთად ვართ. ძმურად გილოცავთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოცდამეათე წლისთავს და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენი ერთგული მეგობრებისა და მოკავშირეების — ჩვიდმეტი მილიონი საბჭოთა კომუნისტის — ლენინის პარტიის წევრების, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით!

მადლობას მოვახსენებ ჩვენს ძვირფას მეგობარს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარეს, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს ამხანაგ ერიხ ჰონეკერს საბჭოთა კავშირზე, მის პოლიტიკაზე ნათქვამი კეთილი სიტყვებისათვის. ჩემი მხრივ, კვლავ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს ჩვენ ვრაცხდით და ვრაცხთ საიმედო თანამოსაგრეებად საერთო საქმეში, ისინი ჩვენი საერთო დიდი იდეალების ერთგულნი, შრომაში შეუპოვარნი და მარჯვენი, ყოველგვარი განსაცდელის ჟამს შეუდრეკელნი არიან.

განვლილი სამი ათწლეულის მანძილზე თქვენს რესპუბლიკას ნიადაგ ედგნენ მხარში საბჭოთა კავშირი და დიადი სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები. ჩვენ ერთად მივდიოდით წინ და ამ წინსვლაში რწმენასა და ვეჟეკაობას გვმატებდა ერთმანეთის მხარდაჭერა და ძმური სოლიდარობა.

საერთო უშიშროებისა და მშვიდობისათვის ჩვენი ერთობლივი ბრძოლის საიმედო ინსტრუმენტი გახდა ვარშავის ხელშეკრულება, რომლის 25-ე წლისთავსაც მალე აღვნიშნავთ. ფართო და თანასწორუფლებიანი საშეურნეო თანამშრომლობის კარგი ფორუმი გახდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო.

ყველა დარგში ჩვენი თანამოქმედების გამოცდილება სოციალისტური სოლიდარობის უძლეველი ძალის დამაჯერებელი მაგალითია. და ჩვენი საერთო ნება ის არის, რომ ასე ყოფილიყოს კვლავაც.

გუშინ ხელი მოვაწერეთ ჩვენი თანამშრომლობის ახალ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს — სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების პროგრამას 1990 წლამდე. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი არსი ასეთია: ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი და სასარგებლოა, ჩვენ თავს ვუყრით ერთმანეთის რესურსებსა და საწარმოო შესაძლებლობებს, რათა უფრო წარმატებით გადავჭრათ ეკონომიკური განვითარების ურთულესი პრობლემები.

ჩვენი პარტიების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისათვის რჩეული ნორმა, ის კი არა, მე ვიტყოდი — საარსებო მოთხოვნილება გახდა მუდმივი შემოქმედებითი კონტაქტები. საბჭოთა კავშირისა და თქვენი რესპუბლიკის ათასობით მშრომელი უშუალოდ იცნობს ერთმანეთს, მილიონობით ადამიანს მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული სხვადასხვა ორგანიზაციის ფარგლებში. ეს ძალიან კარგია, ამხანაგებო. ხალხთა მეგობრობა სწორუპოვარი განძია, რომელსაც თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რომელიც უნდა დავაფასოთ და ვამრავლოთ!

ამ საიუბილეო დღეებში ურიგო არ იქნება გავიხსენოთ გამოვლილი გზა. 1949 წლის შემოდგომაზე, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა, პოლიტიკური დაძაბულობა ევროპაში, და არა მარტო ევროპაში, განსაკუთრებით მწვავე იყო. კონტინენტზე „ცივი ომის“ ქარი ქროდა. უკვე შექმნილი იყო ნატოს ბლოკი — იმპერიალიზმის მთავარი სამხედრო ინსტრუმენტი. ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი იმუქრებოდა, რომ „ცივ ომს“ „ცხელ ომად“ გადაქცევდა. „ომის ზღვარზე“ ბალანსირება ლამის იმპერიალისტური ბანკის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრინციპად გამოაცხადეს.

მაგრამ სოციალიზმის ცისკარი, რომელიც ბევრ ქვეყანას გაუთენდა 40-იანი წლების მეორე ნახევარში, სულ უფრო ფართოდ ფენდა ნათელს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა და დამკვიდრება სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის ახალი დიდი გამარჯვება გახდა და მართლაც რომ ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

სულ უფრო მეტად გვშორდება 1945 წელი, როცა აქ, ბერლინში, დასრულდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი ომის უკანასკნელი აქტი. ახლა ბერლინს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს, კარგი სახელი აქვს. და ხალხებიც ემადლიერებიან გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მშრომელებს იმისათვის, რომ მათ კატეგორიულად უარყვეს ფაშიზმი და მილიტარიზმი, იმისათვის, რომ მათ იმედი გაუმართლეს ანტიჰიტლერული ფრონტის მებრძოლებს.

თითოეული სახელმწიფოს პოლიტიკის შინაარსი ადვილი გასაგები ხდება, როცა უპასუხებ ზოგიერთ უბრალო კითხვას: რას აძლევს იგი თავის მოქალაქეებს, რა მოაქვს მეზობლებისა და საერთოდ მსოფლიოსათვის.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ისევე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, საქმით ვლინდება უღრმესი ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობისათვის, იმისათვის, რომ საზოგადოების თითოეული წევრი იმედიანად შეჰყურებდეს მომავალს. აქ ინარჩუნებენ და ავითარებენ გერმანიის მუშათა მოძრაობის საუკეთესო ტრადიციებს, ხორცს ასხამენ ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოებრივი ერთიანობის ლენინურ პრინციპებს. ეს ნამდვილი გამარჯვების მკაფიო დადასტურება, და რაც უფრო წინ წაიწევს ჩვენი საზოგადოება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, მით უფრო სრულად გამოიკვეთება ახალ კონსტიტუციაში ასახული სოციალისტური დემოკრატიის — ხალხის თავისუფლების, ხალხის ინტერესებისათვის ხელისუფლების უდიდესი შემოქმედებითი „შესაძლებლობანი“, — ამბობდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამ ორი წლის წინათ, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების დღეს.

ეშმარიტად ბრძნული სიტყვებია! ახალმა კონსტიტუციამ თავისი არსებობის პირველსავე ორ წელიწადში უჩვენა მსოფლიოს დიდი ცხოველმყოფელობა, რომ იგი ხალხის ხელისუფლებისათვის გზის მანათობელი ლამპარია ახალ-ახალ გამარჯვებათა მისაღწევად გაშლილ საყოველთაო შემოქმედებითს ბრძოლაში.

(დასასრული მე-2 გვ.).

ამხანაგ ე. ჰონეკერის სიტყვა

თავის გამოსვლაში ე. ჰონეკერმა თქვა: გერმანიის მიწაწყალზე მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა იმ უდიდეს რევოლუციურ გარდაქმნებს განეკუთვნება, რომლებიც ომისშემდგომი განვითარების პერიოდში მოხდა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30 წელი — ეს არის მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის 30 წელი, ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ტრიუმფალური წინსვლის დამაჯერებელი დადასტურება. თვით ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სამშობლოში არსებობს, რომ იგი განუყრელად არის დაკავშირებული სოციალისტური სახელმწიფოების დიად თანამეგობრობასთან, მკაფიოდ მოწმობს, რომ ეცხოვრობთ იმ ეპოქაში, როცა სულ უფრო მეტი ერი ამჯობინებს განვითარების სოციალისტურ გზას. ამ ათწლეულების განმავლობაში ჩვენმა ხალხმა მუშათა კლასისა და მისი პარტიის — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით ცხოვრების ყველა სფეროში ღრმა რევოლუციური გარდაქმნების გზა გამოიარა. გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის მიდიოებით, ჰიტლერელთა ბანდის მიერ სამარცხვინოდ გაჩაღებული მეორე მსოფლიო ომის ნანგრევებიდან წამომიმართა სახელმწიფო, რომელმაც ყურად იღო წარსულის გაკვეთილები და ერთხელ და სამუდამოდ შევიდა თავისუფალი ხალხების ოჯახში, შევიდა სოციალიზმის ბანაკში.

ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახით გერმანელი ხალხის ისტორიაში პირველად იშვა სახელმწიფო, რომელიც ჭეშმარიტი მამულია ყველა მშრომელისა.

ჩვენ ფრიად მოხარული ვართ, თქვა შემდეგ ე. ჰონეკერმა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრი საზღვარგარეთელი მეგობარი, ერთგული მოკავშირე და თანამებრძოლი ამხანაგი გვეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით. ნება მიბოძეთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებიდან და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულო ძვირფასო სტუმრებო, მოგახსენოთ გულითადი მადლობა. ამ მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ უკვე სამი ათწლეულია სოლიდარობთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, კერძოდ, მისი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების საქმეში, ჩვენ მადლობას გიძღვნით ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის სხვადასხვა დარგში — იქნება ეს ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა, თავდაცვა თუ საგარეო პოლიტიკა.

სამი ათწლეულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დამაჯერებლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩვენი სახელმწიფოს შექმნა შემობრუნების პუნქტი გახდა ჩვენი ხალხისა და ევროპის ისტორიაში. ამით გერმანიის მიწაწყალზეც დამაჯერებლად დამტკიცდა სოციალიზმის წარმატებული წინსვლის შესაძლებლობა, კიდევ ერთი მწარე დამარცხება ვაგვმეთ იმპერიალიზმს ტერიტორიაზე, რომელსაც იგი ოდესღაც თავის ერთ-ერთ ბურჯად და აგრესიის ცენტრად თვლიდა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა და განუხრელი განვითარება სტაბილურ, უოყევ საძირკველზეა დაფუძნებული. მორე მსოფლიო ომის დროს ანტიჰიტლერული კოალიციის გადამწყვეტ ფრონტზე ფაშიზმის განადგურებით, თავისი წარუვალი განმათავისუფლებელი გმირობით საბჭოთა კავშირმა ბედნიერი მომავლის გზა გაუხსნა ჩვენს ხალხსაც. ჩვენ მუდამ მოწიწებით მოვიხსენიებთ იმ 20 მილიონ საბჭოთა მამულიშვილს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შეწირეს ამ საქმეს.

ე. ჰონეკერმა განაცხადა, რომ ფაშიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ შესაძლებელი გახდა, რომ გერმანიის კომპარტია და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიად გაერთიანებულიყვნენ და ამრიგად დაეძლიათ მუშათა კლასის გათიშვა. შეიქმნა ჩვენი დროების მოთხოვნების შესაბამისი სოციალისტური საზოგადოება.

ჩვენი საზოგადოება ახალ, სოციალისტურ გერმანიის განსახიერებს. ეს დიდი რევოლუციური ტრადიციების გერმანიაა. ჩვენ ხორცს ვასხამთ იმას, რასაც ესწრაფოდნენ და რისთვისაც იბრძოდნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, ავგუსტ ბებელი და ვილჰელმ ლიბკნეხტი, კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი, კლარა ცეტკინი და ფრანც მერინგი, ერნსტ ტელმანი და რუდოლფ ბრაიტშაიდი. ჩვენ განვაგრძობთ იმას, რაც 1945 წელს ერთად დაიწყეს ვილჰელმ პიკმა და ოტო გროტეოლმა, ვალტერ უბრიხტმა და მაქს ფეხნერმა.

სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ: წინათ გერმანიის ისტორიაში არასდროს არ ყოფილა სახელმწიფო, რომლის ხალხს ისე შვებით ეცხოვრა, ისე გამოეკვლინა საზოგადოებრივი სიმდიდრის წყაროები, გამოეყენებინა და ეგრავლებინა მთელი მატერიალური და სულიერი ღირებულებანი საკუთარი კეთილდღეობისათვის, როგორც ჩვენს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში.

ჩვენი ქვეყნის ადამიანები საფუძვლიანად ამაყობენ იმით, რასაც საერთო გარჯით მივაღწიეთ ოცდაათი წლის მანძილზე, ამაყობენ მათს ცხოვრებაში მომხდარი ძირეული ასეკეთო ცვლილებებით. ამ წლებში იმპერიალიზმი, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმპერიალიზმი საკმაოდ ხშირად ცდილობდა უკუღმა დაებრუნებინა ისტორიის ჩარხი, მოესპო სოციალიზმი გერმანიის მიწა-წყალზე, აღეგავა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპის რუკიდან. იმპერიალიზმი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, რათა შანტაჟი გაეწია, ძირი გამოეთხარა და ესპენი გაეტეხა ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსათვის. სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვიდა ამ სასტიკი კლასობრივი ბრძოლიდან და იმპერიალიზმის ყველა თავდასხმა სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

საბჭოეთთან და სხვა მოძმე ქვეყნებთან ურღვევი კავშირის წყალობით ჩვენ ათწლეულიდან ათწლეულამდე მტკიცედ განვაგრძობდით წინსვლას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა არის პოლიტიკურად სტაბილური,

(დასასრული მე-2 გვ.).

ამხანაგ ე. ჰონეკერის სიტყვა

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკუთარი კორ.). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავის გამო დღეს ბერლინის ფრიდრიხსფელდის რაიონში აღმართული გერმანიის რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა ძეგლი შეამკეს გვირგვინებით, რომლებიც მოიტანეს საბჭოთა კავშირის კომპარტიისა და მთავრობის დელეგაციამ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ და მინისტრთა საბჭომ, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავის დღესასწაულობაზე ჩამოსულმა სხვა დელეგაციებმა.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ჰონეკერი, ე. გერეკი, გ. ჰუსაკი, ტ. ჟივკოვი, ი. კადარი, ი. ცედენბალი, ჰ. მისი, სხვა დელეგაციათა მეთაურები.

საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს გერმანელი ხალხის მეგზნებარე მამულიშვილთა ხსოვნას.

უკვდავია საბჭოთა მეომრების გმირობა, რომლებმაც ფაშიზმისაგან იხსნეს ევროპის ხალხები. საბჭოთა გმირების პატივსაცემად ბერლინის ტრეპტოვ-პარკში აღმართულია მემორიალური კომპლექსი. დღეს ტრეპტოვ-პარკს ეწვივნენ ლ. ი. ბრეჟნევი, დელეგაციის წევრები ა. ა. გრომიკო, კ. უ. ჩერნენკო, ნ. ა. ტიხონოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი, სხვა საბჭოთა ამხანაგები.

აქ მოვიდნენ ამხანაგები ე. ჰონეკერი, ე. გერეკი, გ. ჰუსაკი, ტ. ჟივკოვი, ი. კადარი, ი. ცედენბალი, ჰ. მისი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის წევრები.

შეკრებილთ მიესალმება საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. ი. ჩუიკოვი.

ჟღერს სამგლოვიარო ჰანგები. საბჭოთა განმათავისუფლებელი მეომრის მონუმენტის კვარცხლბეკი შეამკეს გვირგვინით, რომლის ალისფერ ლენტზე წერია: „ნაციზმის წინააღმდეგ სამკვლოსასიცოცხლო ბრძოლაში დაღუპულ საბჭოთა მეომრებს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისაგან“.

აქვე არის გვირგვინი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოსაგან, გვირგვინები საზღვარგარეთის დელეგაციებისაგან.

შეკრებილნი წუთიერი დუმილით სცემენ პატივს საბჭოთა გმირების ნათელ ხსოვნას.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა ამ დღეს გვირგვინებით შეამკეს ფაშიზმისა და მილიტარიზმის მსხვეპლთა ძეგლი უნტერ დენ ლინდენის ქუჩაზე. გვირგვინები მოიტანეს აგრეთვე საზღვარგარეთის დელეგაციათა მეთაურებმა.

სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სხვა ქვეყნების პარტიულმა და სახელმწიფო ხელმძღვანელებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს იმათ ხსოვნას, ვინც თავი გასწირა ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

ფრიდრიხსფელდში, ტრეპტოვ-პარკში და უნტერ დენ ლინდენზე გვირგვინებით შემკობისას გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ტრეპტოვ-პარკში შესრულდა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები და პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“, ფრიდრიხსფელდში და უნტერ დენ ლინდენზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი და „ინტერნაციონალი“.



სურათზე: საბჭოთა მებრძოლი-განმათავისუფლებლის მონუმენტის გვირგვინებით შემკობა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი

ღრმა პატივისცემის ნიშნად

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკუთარი კორ.). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავის ზეიმით აღნიშნავენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის, განვითარებული სოციალიზმის ქარტიის მეორე წლისთავს. ძვირფასი და ახლობელია იგი თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის, რადგან მისი ყოველი დებულება ხალხის ნათელ ფიქრს, ოცნებას გამოხატავს და სამარადჟამოდ ამკვიდრებს იმ დიად მონაპოვრებს, რომლებსაც ჩვენმა დიდა-სამშობლომ კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მიაღწია.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდგომ განვლილი ორი წელიწადი განსაკუთრებული მნიშვნელობის მიღწევებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, დიდი, ფართო ნაბიჯი გადაიდგა ხკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების შემდგომი წლები დიდი გარდაქმნების წლები იყო საბჭოთა საქართველოსათვის, რომლის მშრომელებმაც წელიწადნახევრის წინათ განიხილეს და მიიღეს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელსაც შემდგომ მოჰყვა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების მიღება.

იმ ღირსშესანიშნავ დღეებში დაწყებული საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმი გამოჰყვა საქართველოს მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას სოფლად თუ ქალაქად.

განსაკუთრებული წარმატებებით აღინიშნა შარშანდელი წელიწადი, როცა სამრეწველო წარმოების ზრდამ 7,4 პროცენტს, ხოლო შრომის ნაყოფიერებისამ — 5,6 პროცენტს მიაღწია და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოჩნდა ჩვენს ქვეყანაში! რეკორდული მოსავალით გაგვახარეს სახელოვანმა მევენახეებმა, მეჩაიეებმა.

წარმატებით სრულდება მომდინარე წლის გეგმები და ვალდებულებები. წლის პირველ ნახევარში საქართველოს მრეწველობამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 57 მილიონი მანეთის ღირებულების ზეგეგმითი ნაწარმი, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო გეგმა-ვალდებულება მეჩაიეებმა, რომლებმაც მრეწველობას გადასამუშავებლად ჩააბარეს 440 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. წარმატებით გრძელდება ყურძნის კრეფა, მაღლდება მეცხოველეობის განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. დიდი წარმატებებია მიღწეული კულტურული მშენებლობის ფრონტზე.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილ ორ წელიწადში საქართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით კიდევ უფრო გააქტიურეს ბრძოლა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღების და სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე მუშაობის ხარისხის მკვეთრი ამაღლებისათვის. სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების მიღებამ, მათი დებულებებისა და დასკვნების ფართოდ განხილვამ, საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმმა შემდგომ კიდევ უფრო განამტკიცა რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების ადამიანთა მეგობრობა, მათი ძმობა სსრ კავშირის ხალხებთან. პარტიისა და მთავრობის განუზრელი ზრუნვის საგანი გახდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის მთიანი რაიონების ეკონომიკა, კულტურული ცხოვრება. ამ ზრუნვის ნათელი დადასტურება იყო მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებები ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის და საქართველოს მთელი რიგი რეგიონების შემდგომი აღმავლობისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს.

ერთი სიტყვით, ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილი ორი წელი დიადი ალმშენებლობის, აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების წლები იყო საქართველოს მშრომელებისათვის, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს ამ დღისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და ამ დიდ ენთუზიაზმს, მეგობრულ შრომითს პაექრობას ურთიერთშეჯიბრებას ახალი ძალით წარმართავენ ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანების დაძლევისათვის. მათ კარგად ესმით, რომ იმ ღირსსახსოვარი მოვლენების შესახვედრად, როგორიც არის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი, ხკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობები, გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში არ უნდა გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი კოლექტივი, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა იყოს ჩვენი შრომის მეგზური ყველგან, ყველა უბანზე.

„გავლილის წლები, ათწლეულები, მაგრამ ოქტომბრის ეს დღე სამუდამოდ დარჩება ხალხის მეხსიერებაში, როგორც ხალხის ხელისუფლების ლენინური პრინციპების ნამდვილი გამარჯვების მკაფიო დადასტურება, და რაც უფრო წინ წაიწევს ჩვენი საზოგადოება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, მით უფრო სრულად გამოიკვეთება ახალ კონსტიტუციაში ასახული სოციალისტური დემოკრატიის — ხალხის თავისუფლების, ხალხის ინტერესებისათვის ხელისუფლების უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი“, — ამბობდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამ ორი წლის წინათ, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების დღეს.

ეშმარიტად ბრძნული სიტყვებია! ახალმა კონსტიტუციამ თავისი არსებობის პირველსავე ორ წელიწადში უჩვენა მსოფლიოს დიდი ცხოველმყოფელობა, რომ იგი ხალხის ხელისუფლებისათვის გზის მანათობელი ლამპარია ახალ-ახალ გამარჯვებათა მისაღწევად გაშლილ საყოველთაო შემოქმედებითს ბრძოლაში.

(დასასრული მე-2 გვ.).

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

საბჭოთა ადამიანები ზეიმით აღნიშნავენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის, განვითარებული სოციალიზმის ქარტიის მეორე წლისთავს. ძვირფასი და ახლობელია იგი თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის, რადგან მისი ყოველი დებულება ხალხის ნათელ ფიქრს, ოცნებას გამოხატავს და სამარადჟამოდ ამკვიდრებს იმ დიად მონაპოვრებს, რომლებსაც ჩვენმა დიდა-სამშობლომ კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მიაღწია.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდგომ განვლილი ორი წელიწადი განსაკუთრებული მნიშვნელობის მიღწევებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, დიდი, ფართო ნაბიჯი გადაიდგა ხკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების შემდგომი წლები დიდი გარდაქმნების წლები იყო საბჭოთა საქართველოსათვის, რომლის მშრომელებმაც წელიწადნახევრის წინათ განიხილეს და მიიღეს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელსაც შემდგომ მოჰყვა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების მიღება.

იმ ღირსშესანიშნავ დღეებში დაწყებული საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმი გამოჰყვა საქართველოს მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას სოფლად თუ ქალაქად.

განსაკუთრებული წარმატებებით აღინიშნა შარშანდელი წელიწადი, როცა სამრეწველო წარმოების ზრდამ 7,4 პროცენტს, ხოლო შრომის ნაყოფიერებისამ — 5,6 პროცენტს მიაღწია და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოჩნდა ჩვენს ქვეყანაში! რეკორდული მოსავალით გაგვახარეს ხახელოვანმა მევენახეებმა, მეჩაიეებმა.

წარმატებით სრულდება მომდინარე წლის გეგმები და ვალდებულებები. წლის პირველ ნახევარში საქართველოს მრეწველობამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 57 მილიონი მანეთის ღირებულების ზეგეგმითი ნაწარმი, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო გეგმა-ვალდებულება მეჩაიეებმა, რომლებმაც მრეწველობას გადასამუშავებლად ჩააბარეს 440 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. წარმატებით გრძელდება ყურძნის კრეფა, მაღლდება მეცხოველეობის განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. დიდი წარმატებებია მიღწეული კულტურული მშენებლობის ფრონტზე.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილ ორ წელიწადში საქართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით კიდევ უფრო გააქტიურეს ბრძოლა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღების და სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე მუშაობის ხარისხის მკვეთრი ამაღლებისათვის. სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების მიღებამ, მათი დებულებებისა და დასკვნების ფართოდ განხილვამ, საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმმა შემდგომ კიდევ უფრო განამტკიცა რესპუბლიკის ყველა ერისა

სოციალიზმისა და მშვიდობის სწორი კურსით

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

მენ გერმანელ რევოლუციონერთა, ჰუმანისტთა, მოაზროვნეთა ბრწყინვალე პლეადის იდეალებს.

მეზობელმა სახელმწიფოებმა იციან, რომ რესპუბლიკა მათ მეგობრულად ეკიდება, მზად არის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგებისათვის. სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა კაცობრიობა კვლავ არ აღმოჩნდეს დამლუსველი ომის მორეგეში.

ყოველივე ეს უდიდესი პატივისცემის ღირსია. სწორედ ეს არის მსოფლიოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნიადაგ მზარდი ავტორიტეტის თავიდათავი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობა არსებითად შეშობრუნების მიჯნა გახდა ევროპის უშიშროების განმტკიცებაში. შოგანსენებათ, როდენ ძნელი იყო ამ ცნობის მიღწევა. ამ ცნობისათვის, 70-იანი წლების ცნობილ ხელშეკრულებათა დადებისათვის, ომისშემდგომ რეალობათა გათვალისწინებისათვის, სრულიად ევროპის თათბირის მოწყობისათვის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს რამდენიმე ათწლეულს მოუხდათ ბრძოლა.

სრულიად ევროპის თათბირმა მიიღო საბოლოო აქტი — ევროპის ხალხთა უშიშროების ერთგვარი ქარტია, მშვიდობიანი ცხოვრების, სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობის ქარტია. ჩვენი მჯერავალ სურვილია ეს ქარტია სრული მოცულობით ხორციელდებოდეს.

თუ სიტყვებს ვერწმუნებით, მაშინ ეს, თითქოს, დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებსაც უნდა სურდეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი პარტნიორების საქმეები ბლომად ზწარად წარიმართება ხოლმე სხვა კალაპოტით.

ჩვენ არ შეგვიძლია არ ვხედავდეთ რეალურ ფაქტებს: გამალებული შეიარაღების მომხრენთითზე იხვევენ ყოველგვარ, თვით, შეიძლება ითქვას, არარსებულ, მოჩმახულ საბაბს, რათა გაამწვავონ ვითარება, გააძლიერონ საომარი სამზადისი. რაც შეეხება ევროპას, აქ მშვიდობის შენობას, სწორედ მის საძირკველს ნაღმის დადებას უპირებენ.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ახალი ტიპის ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების გეგმები, რასაც უკვე ახლავე დიდის ზარ-ზეიმით იუწყება დასავლეთის პრესა. პირდაპირ მოგახსენებთ: ამ ზრახვების განხორციელება არსებითად შეცვლიდა სტრატეგიულ ვითარებას კონტინენტზე. მათი მიზანია დაარღვიოს ევროპაში დამყარებული ძალების წონასწორობა, როგორმე მოუპოვოს ნატოს ბლოკს სამხედრო უპირატესობა.

რაც შეეხება სამხედრო უპირატესობას, ნუთას უკაცრავად, რა თქმა უნდა, სოციალისტური ქვეყნები გულწრფელად არ დაუწყებენ ყურებას ნატოელ მილიტარისტთა სამზადისს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ იძულებული გავხდებით განვახორციელოთ საჭირო დამატებითი ღონისძიებანი ჩვენი უშიშროების განმტკიცებისათვის. სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს. მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ნატოს გეგმების რეალიზაცია გარდაუვლად გააფვავებდა ვითარებას ევროპაში და მნიშვნელოვანწილად მოწამლავდა მთლიანად საერთაშორისო ატმოსფეროს.

საიდუმლო როდია, რომ ამ საშინაო გეგმების მზადებაში ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ერთ-ერთი მთავარი როლი გერმანის ფედერაციულ რესპუბლიკას აქვს დათმობილი.

მართალი გითხრათ, ისინი, ვინც ამ ქვეყნის პოლიტიკას განსაზღვრავს, დღეს ფრიად სერიოზული არჩევანის წინაშე დგანან. მათ უნდა გადაწყვიტონ, რა აჯობებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის: ხელი შეუწყოს ევროპის მშვიდობის განმტკიცებას და ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი ხელსაყრელი თანაშრომლობის განვითარებას ეთიერმეზობლობისა და მზარი ორმხრივი ნდობის სულისკვეთებით, თუ ხელი შეუწყოს ვითარების ახალ გაძვაებას ევროპასა და მსოფლიოში, განაგრძონ თავიანთ ტერიტორიაზე სურ ქავშირისა და მისი მოკავშირეებისათვის დამიზნებული ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღი. ცხადია, რომ ამ, მეორე შემთხვევაში გაკილებით გაუარესდებოდა თვით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მდგომარეობაც. არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, რა შედეგებს მოუტანს მას ის, რომ ეს ახალი იარაღი ოდესმე აამოქმედოს მისმა პატრონმა.

ყოველივე, რაც მოგახსენეთ, რასაკვირველია, ეხება ნატოს წევრ ევროპის სხვა ქვეყნებსაც, რომელთა „გაბედნიერებასაც“ აპირებენ საშუალო რადიუსის მოქმედების ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგებით.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, კიდევ და კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ არ ვესწრაფვით სამხედრო უპირატესობას. ჩვენ არასდროს არ გვქონია ფიქრად და არც გვექნება დავემუქროთ რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს. მტკიცებებს, თითქოს საბჭოთა კავშირი ევროპის კონტინენტზე ისეთი მასშტაბით ზრდიდეს თავის სამხედრო ძლიერებას, რაც თავდაცვის მოთხოვნილებებთან არ არის გამოწვეული, საერთო არა აქვს რა სინამდვილესთან. ეს ფართო საზოგადოებრიობის შეგნებული მოტყუებაა.

ევროპაში, ისევე როგორც ჩვენი პლანეტის სხვა რაიონებში, ჩვენ მშვიდობა, მტკიცე მშვიდობა გვწადია. ეს გახლავთ ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველთა საფუძველი, მისი თავი და თავი. და ამ პოლიტიკას ჩვენ თანამიმდევრულად და განუხრელად ვახორციელებთ.

როგორც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, მე სრულიად გარკვევით ვაცხადებ: ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის მატარებელთა რაოდენობა **არც ერთი რაკეტიო, არც ერთი თვითმფრინავიო** არ გაზრდილა. პირიქით, საშუალო სიშორის რაკეტების გასაშვები დანადგარების რაოდენობა, ისევე როგორც ამ რაკეტების ბირთვული მუხტის სიმძლავრე, **რამდენადმე შემცირდა** კიდევ. იქო აგრეთვე საშუალო ბომბდამშენების რაოდენობამ. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებს, საბჭოთა კავშირი სხვათა ტერიტორიებზე ასეთ საშუალებებს **საერთოდ არ განალაგებს ხოლმე.** აი უკვე რამდენიმე წელია ჩვენ არ ვზრდით აგრეთვე ცენტრალურ ევროპაში განლაგებული ჩვენი ჯარების რიცხვს.

მეტსაც გეტყვით. ჩვენ მზად ვართ ანალანდელ დონესთან შედარებით შევამციროთ საბჭოთა კავშირის დასავლეთ რაიონებში განლაგებულ საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებათა რაოდენობა, — ოღონდ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაშინ, თუ დასავლეთ ევროპაში დამატებით არ განალაგებენ საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებებს.

მინდა აგრეთვე საჯაროდ დავადასტურო, რომ საბჭოთა კავშირი არასოდეს არ იხმარს ბირთვულ იარაღს იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებმაც უარი თქვეს ასეთი იარაღის წარმოებასა და შეძენაზე, და არა აქვთ იგი თავის ტერიტორიაზე.

გვამცნობენ, რა გულწრფელი მისწრაფება ჩიხიდან გამოვიყვანოთ ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელების მიღწევის მრავალი წლის მეცადინეობა, ვაჩვენოთ ყველას სიტყვიდან რეალურ საქმეზე გადასვლის მაგალითი, ჩვენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდეგ, — **მივიღეთ გადაწყვეტილება შევამციროთ ცალმხრივი წესით ცენტრალურ ევროპაში განლაგებული საბჭოთა ჯარების რიცხვი. მომდევნო 12 თვის განმავლობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან გავიყვანთ 20 ათასამდე საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეს, ათას ტანკს, აგრეთვე გარკვეული რაოდენობის სხვა სამხედრო ტექნიკას.**

გვწამს, რომ საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების მშვიდობისმოყვარეობის და კეთილი ნების ამ ახალ კონკრეტულ გამოვლენას მოიწონებენ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხები. ჩვენ მოვუწოდებთ ნატოს ქვეყნების მთავრობებს ჯეროვნად დაფასონ სოციალისტური სახელმწიფოების ინიციატივები და მიბაძონ ჩვენს კარგ მაგალითს.

ჩვენი ქვეყანა ევროპაში ნდობის ღონისძიებათა შემდგომი გაფართოებისათვის იღგწრა. ჩვენ, კერძოდ, მზად ვართ მოვრიგდეთ იმის თაობაზე, რომ ჰელსინკის საბოლოო აქტით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინება სამხედეთო ჯარების დიდი სამხედრო წვრთნის შესახებ გაიგზავნოს ხოლმე, უფრო ადრე, და არა 25 ათასი კაცის დონიდან, როგორც ახლაა, არამედ ნაკლები დონიდან — ვთქვათ, 20 ათასი კაციდან. ჩვენ მზად ვართ აგრეთვე — ნაკვალევების საწყისებით — არ ჩავატაროთ სამხედრო წვრთნა, რომელშიც 40-50 ათას კაცზე მეტი მიიღებს მონაწილეობას.

რა თქმა უნდა, ძალაში რჩება სოციალისტური ქვეყნების წინადადებანი დიდი სამხედრო-საჰაერო წვრთნებისა და იმ სამხედრო-საზღვაო მანევრების შესახებ შეტყობინების თაობაზე, რომლებიც სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული წყლების მახლობლად ეწყობა.

გვინდა კიდევ ერთი რამ შეკთავაზოთ დასავლეთს: მოდით, ჰელსინკის აქტით განსაზღვრული რაიონში წინასწარ შეეატყობინოთ ხოლმე ერთმანეთს 20 ათას კაცზე მეტი შემადგენლობის სამხედრო ჯგუფს. ეს ეხება ასევე ამ ჯგუფის ბაზებს, თითქოს საბჭოთა კავშირი ევროპის კონტინენტზე ისეთი მასშტაბით ზრდიდეს თავის სამხედრო ძლიერებას, რაც თავდაცვის მოთხოვნილებებთან არ არის გამოწვეული, საერთო არა აქვს რა სინამდვილესთან. ეს ფართო საზოგადოებრიობის შეგნებული მოტყუებაა.

ევროპაში, ისევე როგორც ჩვენი პლანეტის სხვა რაიონებში, ჩვენ მშვიდობა, მტკიცე მშვიდობა გვწადია. ეს გახლავთ ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველთა საფუძველი, მისი თავი და თავი. და ამ პოლიტიკას ჩვენ თანამიმდევრულად და განუხრელად ვახორციელებთ.

როგორც ცნობილია, გასაგრძელებელი გვაქვს ავრეთვე დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-3 ხელშეკრულების თაობაზე. ჩვენ ამის მოხსენიება ვართ, რომ ეს მოლაპარაკება მაშინვე დავიწყოთ, როგორც კი ძალაში შევა მე-2 ხელშეკრულება. ჩვენ თანახმანი ვართ ამ მოლაპარაკების ფარგლებში განვიხილოთ არა მხოლო საკონტინენტთაშორისო, არამედ აგრეთვე სხვა სახეობათა შეიარაღების შეზღუდვის შესაძლებლობანი, რა თქმა უნდა, „აქ არსებული ყველა ფაქტორის გათვალისწინებისა და მხარეთა თანასწორი უშიშროების პრინციპის განუხრელი დაცვის პირობით.

ამრიგად, სსრ კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ევროპის სხვა სოციალისტური ქვეყნები სახავენ მკაფიო პერსპექტივას — რეალურად უზრუნველყოთ, რომ მეეკონ ევროპის ხალხები უშიშროებისა და მშვიდობის პირობებში ცხოვრობდნენ. ჯერ დასავლეთის სახელმწიფოებზეა. მათი პასუხი გვიჩვენებს, მზად არიან თუ არა ანგარიში გაუწიონ ხალხთა ნებასა და საარსებო ინტერესებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რეალიზმი, სახელმწიფოებრივი სიბრძნე და, ბოლოს, უბრალოდ საღი აზრი თავისას გაიტანს.

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეკანდელ ბობოჭარ სამყაროში ჩვენ — სოციალისტურ თანამეგობრობას — ფიზიკურ საიმედო ნიადაგი გვაქვს. იგი ჩვენ თვითონ შეგვმენთი, როცა ვიღაწოდით ჩვენი ეკონომიკების განუხრელი პროგრესისათვის, ვვიითარებდით სოციალისტურ დემოკრატიას, უზრუნველყოფდით ჩვენი ხალხების კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას, ვანვამტკიცებდით ბერძნულებით ჩვენს თავდაცვას. ჩვენი ურთიერთობა ღრმა და მრავალფეროვანია და ჩვენ სულ უფრო უკეთ ვსწავლობთ თანამშრომლობას.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ის პოლიტიკური და ზნეობრივი ძალა გახლავთ, რომელმაც ბევრი გამარჯვება მოგვაპოვებინა მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ნიშნდობლივია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიდი დღესასწაული ნამდვილი ინტერნაციონალიზმის ატმოსფეროში მიმდინარეობს.

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — ევროპაში მშვიდობისა და სოციალიზმის საიმედო ბურჯს!

დაე, ნიადაგ მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩვენი მარქსისტულ-ლენინური პარტიების ურღვევი მეგობრობა!

გაუმარჯოს სოციალისტურ სახელმწიფოთა სახელოვან! თანამეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას და კეთილდღეობას!

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში).

●

ამავე დღეს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს გადასცა საჩუქარი — მზატვარ ი. კოროლიოვის სურათი „კოსმოსელი ძმები“. ამ ნაწარმოებში აღბეჭდილია ორი მოძმე ქვეყნის წარმომადგენელთა გმირობა, რომლებმაც ერთად იფრინეს კოსმოსურ სივრცეში.

ამხანაგ ე. ჰონეკერის სიტყვის დასასრული

რის განუყრელი გახდა. მუშათა კლასისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება წარმატებული ბაზის განვითარების ერთულ მოთხოვნებს. ასეთი გრძელვადიანი გეგმების განხორციელებას ჩვენ მხოლოდ საბჭოთა კავშირთან ერთად შევძლებთ, მხოლოდ მისი შემწეობით გავართმევთ თავს წარმატებით.

ძალების გაერთიანება ხშირად მათს გამრავლებას ნიშნავს, თქვა შემდეგ ე. ჰონეკერმა. ამას ადასტურებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციაც. ისევე როგორც წინათ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ქვლავაც მიიღებს მონაწილეობას მომძე ქვეყნების თანამშრომლებში როგორც აქტიური პარტნიორი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ყოველი წელი იყო ავრეთვე წელი თანამიმდევრული ბრძოლისა მშვიდობის უზრუნველყოფის დიადი მიზნის მიღწევის და იმის აქტიური ხელშეწყობისთვის, რომ გერმანიის მიწაწყალი აღარასდროს აღარ გახდეს ახალი ომის კერა. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე მოკავშირეებთან ერთად ჩვენ ბევრს ვაკეთებთ, რომ ევროპა დაძაბულობისა და ომების კონტინენტიდან მტკიცე მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის რაიონად გადაქცეს.

ე. ჰონეკერმა აღნიშნა, რომ ეროვნულმა სახალხო არმიამ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა შეიარაღებულმა ძალებმა, მართლწესრიგის დაცვისა და უშიშროების ორგანოებმა განვლილი 30 წლის მანძილზე ბრძოლა ეროვნულ ინტერესებს, ხალხთა მეგობრობასა და ევროპაში ეკონომიკური ურთიერთობების ფართოდ გავრცელდა და მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში,—ჩვენი ფასდაუდებელი მიღწევაა. ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ჩვენი რესპუბლიკის სტაბილურობისა და მისი შესანიშნავი მომავლის განუყოფელი წინამძღვარია.

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30 წელი, — განაცხადა ორატორმა, — ამავე დროს ეს არის სამი ათწლეული საბჭოთა კავშირთან ჩვენი მეგობრობისა, რომელიც ნიადაგ მტკიცდებოდა. ლენინის ქვეყანამ ჩვენ თავიდანვე გამოგვიწოდა ქომაგობისა და დახმარების ხელი. ჩვენ ვეზიარეთ ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის იმ გამოცდილების გიგანტურ საგანძურს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და სსრ კავშირმა ფეიძინეს ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. გერმანსტურიანი საბჭოთა კომუნისტები რჩევთა და საქმით ეხმარებოდნენ თავიანთ კლასობრივ ძმებს. ჩვენი ქვეყნის უამრავი მცხოვრებისათვის ეს მეგობრული შეკავშირება უმშვენიერეს, დაუვიწყარ მოგონებებთან არის დაკავშირებული.

რაც უფრო მეტად ვითარდებოდა სოციალისტური რევოლუცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბუნებრივია, მით უფრო მჭიდრო ხდებოდა თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. ეს ერთიანობა ყველა ჩვენი წარმატების შემადგენელი ნაწილია. 1949 წელს საკონსტიტუციო ჩვენს ქვეყნებს შორის 1 მილიარდ მარკაზე ოდნავ მეტს შეადგენდა, 1978 წელს იგი 35 მილიარდ მარკამდე გაიზარდა. როცა ჩვენი ვაჭრობის ესოდენ სწრაფ განვითარებაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ჩვენი ორი ქვეყნის კომბინატების, საწარმოების, უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და სკოლების მჭიდრო ურთიერთობას. უკვე აღარავის აღარ უკვირს, რომ ჩვენი ქვეყნების მუშები ერთად ადნობენ ფოლადს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები ლენინის ქვეყანაში სწავლობენ, რომ ჩვენი მოსწავლეები ამ ქვეყნიდან იღებენ გერმანულად დაწერილ წერილებს და მათ რუსულად უპასუხებენ. ასეც უნდა იყოს, ეს ზომ სოციალისტური თანამეგობრობაა. ან ასე ზორიელდება სოციალისტურ სადაგ დღეებში ჩვენი ხალხების დაახლოების პროცესი, რასაც ნიადაგ და განუხრელად ესწრაფვოდნენ ხელ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია.

ჩვენი სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს დიდ იუბილესთან დაკავშირებით ხელი მოვაწერეთ სპეციალიზაციისა და წარმოების კოოპერირების პროგრამას 1990 წლამდე პერიოდისათვის. ჩვენთვის ამ მოვლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველა ჩვენი მომავლის გეგმა საბჭოთა კავშირთან მეგობრობაზეა დაფუძნებული. 1975 წლის 7 ოქტომბრის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების არსის შესაბამისად ახალი პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი ძმური ურთიერთობის შემდგომ ნაყოფიერ გაფართოებას. ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას. ავიღოთ თუნდაც ის, რასაც ჩვენგან მოითხოვს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და რა შესაძლებლობებს გვისახავს იგი. მოდით, დაკუფიქრდეთ ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული ბაზის განვითარების რთულ მოთხოვნებს. ასეთი გრძელვადიანი გეგმების განხორციელებას ჩვენ მხოლოდ საბჭოთა კავშირთან ერთად შევძლებთ, მხოლოდ მისი შემწეობით გავართმევთ თავს წარმატებით.

ე. ჰონეკერმა აღნიშნა, რომ ეროვნულმა სახალხო არმიამ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა შეიარაღებულმა ძალებმა, მართლწესრიგის დაცვისა და უშიშროების ორგანოებმა განვლილი 30 წლის მანძილზე ბრძოლა ეროვნულ ინტერესებს, ხალხთა მეგობრობასა და ევროპაში ეკონომიკური ურთიერთობების ფართოდ გავრცელებას. ასეთი ბრძოლა ეროვნული ეკონომიკის ინტენსიურ ტექნიკურ ბაზაზე გადასვლის, ეფექტიანობის ამაღლების, ეროვნული ეკონომიკის

დღევანდელი ნომრის სტუმარი



სიცოცხლე მომავლისათვის

ჩვენი ცოდნის ლამპარი

— **აი** თემა, ამხანაგო ჟურნალისტო. უკეთესი სტუმარი ამ ნომრისთვის შეიძლება ვერც ინატრო. **მასწავლებლის დღეა,** ვასაუბროთ მკითხველებთან, კოლეგებთან...

გრიგოლ კობახიძეზე მეუბნებიან, თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორზე, რომლის დიდი ღვაწლი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში ამ ცოტა ხნის წინათ, მართლაც კანონიერად შეფასეს — სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის საპატიო წოდება მიანიჭეს (ჩვენს ქვეყანაში სულ ხუთ კაცს ერგო ეს პატივი).

თემა მართლაც მაცდუნებელია, ოღონდ ბევრი კი დაწერილა მასზე. საქვეყნოდ არის ცნობილი გ. კობახიძის სახელი და საქმე. ერთ-ერთი საუკეთესო ფიზიკის მასწავლებელი, და დირექტორი ისეთი, რომ უკვე „კობახიძის სკოლას“ ეძახიან 77-ე საშუალოს.

აე ერთ ნაფიჩაჭნს ვერ იპოვით დერეფნებსა და საკლასო ოთახებშინო, რემონტს ათ წელიწადში ერთხელ ატარებენო, ოცი წელია ინვენტარი არ შეუცვლიათ —ახალიივითაა, აქ თითქმის არა ჰყავთ სწავლაში ჩამორჩენილი, ძნელად აღსაზრდელი ბავშვიო და ა. შ. რას არ ჰყვებიან 77-ე საშუალო სკოლაზე. მართლაც ასე ყოფილა.

✦ ✦ ✦

— როგორ მიაღწიეთ, პატივცემულო გრიგოლ, ამ სამაგალითო წარმატებებს? ეს უთუოდ საინტერესო იქნება მკითხველებისათვის, უპირველესად — თქვენი კოლეგებისათვის...

— დირექტორად ოცდაათი წლისა დამნიშნეს, მანამდე ფიზიკას ვასწავლიდი აქვე. კი მიცნობდნენ კოლეგები და ეტყობა სჯეროდათ კიდეც. ეს, რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავდა, მაგრამ სკოლის ხელმძღვანელობა მაინც სხვა საქმეა. უპირველეს ყოვლისა კადრები უნდა შემერჩინა. ბევრი ახალგაზრდა, უნარიანი მასწავლებელი მოვიწვიე, ზოგი ახლაც აქ ასწავლის და უკვე დამსახურებული პედაგოგები არიან... იციო რა... მოდით, ჩემს თავზე ნუ მალაპარაკებთ...

უმისოდ თითქმის არასოდეს არ დანყებულა სკოლაში მეცადინეობა. დირექტორი იქ არის ადრე დილიდან ნაშუადღევამდე. უდიდეს ყურადღებას აქცევს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას.

— არამც და არამც არ უნდა ვეფიქროთ მარტო აკადემიურ წარმატებაზე ანდა აღზრდაზე, ორივე ეს შეხამებული უნდა იყოს. აი, მაშინ თუ მივაღწევთ სასურველ შედეგს. მოსწავლე უნდა მონაწილეობდეს თავისი სკოლის საქმიანობაში.

— რას გულისხმობს ეს?

— ინვენტარის შეკეთება, მოვლა-პატრონობა, შინაგანი წესის დაცვა... თუ რომელიმე კლასში ერთ-ერთი წესრიგს არღვევს, ჯობია, თვითონ აზხანაგებმა იბრძოლონ მის მოსათვინიერებლად. ეს გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე მასწავლებლისა და დირექტორის ჩარევა. ამჟამად მხოლოდ სამი ბავშვი გვყავს „ძნელად აღსაზრდელი“. ისინიც განა რაიმეს აშავებენ სკოლაში ან სკოლის გარეთ? უბრალოდ — ჯეროვნად არ სწავლობენ, მაგრამ, მე მგონი დაძლევენ. მათ მასწავლებლები, თანაკლასელები ეხმარებიან.

„ყველა პედაგოგს რომ მორალურად მხარი არ დაეჭირა ჩემი სადირექტორო მუშაობისათვის, სკოლაში ერთ დღესაც ვერ გავჩერდებოდი“ (ვ. სუხომლინსკი, წიგნიდან — „აღზრდის შესახებ“).

— არ იფიქროთ, დირექტორი ვარ და იმიტომ ვაქებდე. მართლაც კარგი კოლექტივი გვყავს. ჩვენთან არ არის არც ერთი ჩამორჩენილი მასწავლებელი. ამაში ვგულისხმობ ყოველდღიური ინფორმაციის ჭარბად მიღებას, რომ მოსწავლემ არ „დაგაბნიოს“. არადა, ხომ არის ამის შემთხვევებიც.

ყველა მასწავლებელი, რა თქმა უნდა, ერთნაირად ძლიერი ვერ იქნება, მაგრამ ინინი ეხმარებიან ერთმანეთს, კონსულტაციებს უწევენ. ერთსულოვნებაში ახალი, საინტერესო წამოწყებები იბადება. ახლა, მაგალითად, ასეთი რამ გაიაკეთეთ: ჩვენთან უკვე ოცი წელია კაბინეტური სისტემაა. მოსწავლეებმა ჯერ შინიდან სკოლაში და უკან, აგრეთვე კაბინეტებში ზეკით — ქვეკით, ჩანთებით უნდა იარონ, რომლებიც საკმაოდ მძიმეა. ამიტომ გადაწყვიტეთ გამოგვეცხადებინა შეჯიბრება მოსწავლეებს შორის, თუ ვინ უფრო უკეთესად მოუვლიდა სახელმძღვანელოებს. სასწავლო წლის ბოლოს ამ სახელმძღვანელოებს სკოლას აბარებენ. და აი რატომ: წიგნები სკოლაში მზამზარეული ხვდება მომდევნოკლასელს, რომელსაც საკუთარი სახელმძღვანელოები უკვე შინ სამეცადინოდ თუ სჭირდება, თორემ სკოლაში აღარ ატარებს, მარტო სასწავლო ნივთებით ივლის, ყოველ კაბინეტში წინაკლასელის სათუთად მოვლილი წიგნები ელოდება. ერთი სიტყვით — ორი სახელმძღვანელო აქვს.

ახალ სასწავლო წელს ეს ღონისძიება გავატარეთ ფიზიკაში, მათემატიკაში, გეოგრაფიაში, ბოტანიკაში... გაისად კი ყველა საგნში დავაწესებთ.

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი დავით გონდაურის ნაამბობიდან: — ჩვენ აი უკვე ორმოცი წელია ერთად ვართ. თავიდანვე ასეთი იყო გრიგოლი — ენერგიული, საქმეს გადაგებული, **ამ საქმემ გააჭაღარავა. მე რომ მახსოვს ეს სკოლა, სკოლას არ ჰგავდა, მისი ნასათუთებია ყველაფერი. ჩვენთვისაც, თანამშრომლებისთვისაც კაცური კაცია. ჩვენ არ გვყავს მასწავლებელი, რომელსაც ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდეს. ყველას მოუარა გრიგოლმა. მისი მეცადინეობით მაქვს ეს დამსახურება და ორდენები.**

— თქვენი სკოლა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის სახელობისაა. დღეს კონსტიტუციის მეორე წლისთავია. გვიამბეთ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის სიკეთეზე ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობების აღზრდის საქმეში.

— კონსტიტუციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს. მასში ერთ-ერთ ხუნლად შეტანილია, რომ უნდა აღვზარდოთ ახალგაზრდობა, რომელმაც უნდა შეძლოს და უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა კომუნიზმის მშენებლობაში. რა თქმა უნდა, დიდი სიკეთეა უფასო სწავლება, წიგნები უფასოდ. ამ სასწავლო წელს ეს ღონისძიება მესამე კლასამდე განხორციელდა. 1982 წლისათვის კი უკვე უფროსკლასელებიც უფასოდ მიიღებენ სახელმძღვანელოებს.

და კიდევ რამდენი რამ ხორციელდება და განხორციელდება, ოღონდ ჩვენმა შვილებმა ისწავლონ, ისწავლონ ისე, რომ ჩვენ გვაჯობონ ახალ-ახალ სიმაღლეთა დაპყრობაში. ყველა პირობაა ამისათვის. აბა, ჩემი ბავშვობა უნდა გენახათ! ხუთი წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა, ხუთი ობოლი დავრჩით, ყველაზე უფროსი ათი წლისა იყო. შრომა და შრომა ყოველდღიური, ილაჯგამწყვეტი, წიგნს ხანდისხან თუ მოვიხელთებდი.

— ვიცით შემთხვევები, როდესაც სოფელში ბავშვები, რომლებსაც მოცლა არა აქვთ ოჯახში და კოლმეურნეობაში საქმიანობის გამო, კარგადაც სწავლობდნენ და უმაღლეს სასწავლებელშიც ყოველგვარი დახმარების გარეშე აბარებენ მისაღებ გამოცდებს. ამის საპირისპიროდ: უამრავი შემთხვევა ვიცით, რომ ოღონდ ბავშვმა ისწავლოს და თან ჰყვებიან, სხვა საქმეს არ აკარებენ და, მოგეხსენებათ, მაინც არაფერი გამოდის...

— არც გამოვა. თვითონ თუ არ არის მოწადინებული, ამეცადინე რამდენიც გინდა! რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება. ის ბავშვები კი, თქვენ რომ ზემოთ ახსენეთ, შრომის გარდა სწავლასაც იყვნენ მოწადინებულნი. ჩემი დირექტორობის პერიოდში ამ სკოლაში აღზრდილთაგან ათი პროფესორი და ორმოცამდე დოცენტია. იმათგან ხუთ პროცენტს თუ ჰქონდა კარგი ოჯახური პირობები, თორემ დანარჩენი თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგი წერა-კითხვის უცოდინართა შვილებიც კი იყვნენ. მაგრამ მათ მიზნად დაისახეს უმაღლესი განათლების მიღება და აკი მიაღწიეს კიდეც.

ცდებიან ის მშობლები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მათ შვილებს მარტო სკოლაში მიღებული ცოდნა არ ეყოფათ და როგორ არ ამზადებენ, სად არ დაპყავთ... საქმე უნდა ასწავლონ ბავშვებს. „შვილო, ოღონდ ისწავლე, მეტი შენი არაფერი მინდაო“. ეს არ არის სწორი, შეცდომაა, რადგან სწავლა შრომას მოითხოვს.

ბავშვის აღზრდის საქმე მამებმა არამც და არამც არ უნდა გადაიბარონ დედებს. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ხშირია. მამა რატომღაც უკვე მოზრდილ ყმაწვილზე იწყებს ზრუნვას და ყურადღების მიქცევას. მაშინ კი ბევრი რამ დაგვიანებულია.

— მოგეხსენებათ, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისას სამ მთავარ ფაქტორს გამოყოფენ: ოჯახი, სკოლა, გარემო. ამ ფაქტორებში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მთელი რიგი პრობლემები გადაუწყვეტელია. თქვენ როგორ გესახებათ ამ პრობლემათა გადაწყვეტის გზები?

— ბევრი მიფიქრია ამ საკითხებზე და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ჩვენს მუშაობაში არ არსებობს პრობლემა, რომლის გადაჭრაც შეუძლებელი იყოს! ავიღოთ, თუნდაც ასეთი რამ: ვიცით, რომ მშობლების დიდი უმრავლესობა მთელი დღე სამსახურშია და ბავშვებს საღამომდე ვერ ნახულობს. ცხადია, მოსწავლე სკოლიდან შინ მიდის, მაგრამ როგორ ატარებს იგი დროს საღამომდე? ამიტომ მეტი გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლები უნდა გაიხსნას, სადაც კონტროლქვეშ იქნება ყმაწვილი. აუცილებელია, საწარმოდაწესებულებების ხელმძღვანელები სისტემატურად დაინტერესდნენ თავიანთ მუშაკთა შვილების აღზრდის საკითხებით, ოჯახური პირობებით. ერთ-ერთი მთავარი პირობაა გარემო, სადაც ყმაწვილი იმყოფება დღის განმავლობაში. რა თქმა უნდა, შეგიმჩნევიათ: ამ ბოლო დროს ქუჩებში გადასასვლელებზე, ტრანსპორტის გაჩერებებზე პოლერები მორიგეობენ. მე მოწმე გავხდი, როგორ მიუთითებდა ერთი მათგანი ხანში შესულ კაცს: „ბიძია, რატომ გადადიხართ შუა ქუჩაში?“ ამ ფაქტს, მე მგონი კომენტარი არ სჭირდებს. რაც შეეხება სკოლას, იქ უნდა მიუხარდეს ბავშვს. დასახვეწია არსებული პროგრამები, სახელმძღვანელოები და ა. შ.

რაც მოგახსენეთ, ეს ყოველივე ახალი ამბები არ არის, ყველამ ვიცით, ამიტომ დროა, საქმეზე გადავიდეთ, ყველამ ერთად მივცეთ მხარი მხარს, რადგან ლაბარაკია ჩვენს ხვალინდელ დღეზე, ჩვენს შვილებზე და შვილიშვილებზე, რომელთა აღზრდაც სახალხო საქმეა.

„სკოლისადმი ხელმძღვანელობა — ეს, უპირველეს ყოვლისა, პედაგოგიური ხელმძღვანელობაა. შემდეგ კი — ადმინისტრაციული“ (ვ. სუხომლინსკი, წიგნიდან — „აღზრდის შესახებ“).

გრიგოლ კობახიძე სწორედ პედაგოგია უპირველეს ყოვლისა. ახლა ძნელია ჩამოთვალო, რამდენი დაუყენებია სწორ გზაზე, რამდენი „გამოუსწორებელი“ ქვეყნისათვის საჭირო მოქალაქედ გაუხდია.

მორიდებით შემოდიან დირექტორის კაბინეტში ყოფილი მოსწავლეები. მასწავლებლის დღეს, სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის წოდებას ულოცავენ საყვარელ პედაგოგს გრიგოლ კობახიძეს. მის ნამოწაფარს, აწ უკვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ა. ოშხერელს ლექსიც კი მიუძღვნია აღმზრდელისათვის.

„არავინ იფიქროს დაბერდით
თითქოს,
წლების წინაშე თავი დაბარეთ,
თქვენ მაგრძნობინეთ მამულის
სითბო,
თბილისის სიტკბო თქვენ
შემაყვარეთ“.

ასე, რამდენი ლექსი, მილოცვა... შინ კი შვილიშვილები ელოდებიან სახალხო მასწავლებელს, მამულის, ხალხის სიყვარულს უნერგავს მათაც.

ხვალ ახალი დღეა, ახალი შეხვედრა საქართველოს სახელოვნებელ მომავალთან.

ვ. მარდალეიშვილი.

ოთარ შალამბერიძე

საუბარი სოფელ ჭერემთან

ახალი სიცოცხლე დაუბრუნდა გურჯაანის რაიონის ყოფილ სოფელ ჭერემს. იავნანას ტკბილი ჰანგით აქ კვლავაც დაიწევა აკვანი და სამშობლოს კვლავაც დაეზრდებიან მუხლჩაუხრელი ჭაბუკები. ამ სიხარულს, ამ განახლებულ სიცოცხლეს ეძღვნება ჩემი ლექსიც.

ავტორი.

როგორ იფეთქა გულში სიამემ, —
კვლავ დაირნაო ჭერემს აკვანი,
მოიხილესო ძველი ლაგვანიც, —
თქვენ პირს შაქარი!..
თქვენ პირს შაქარი!..

ტანში აჟრჟოლებს ველის გვირილებს
რაკი ფუტკარზეც ითქმის — აშიკი...
ჭერემო,
შენი
ჭერის
ჭირიმე,
დამიჭაშნიკე სიტყვის ჭაშნიკი.

ვინ იყო ყოფნის უარმყოფელი,
წუთისოფლობა ვინ დაანესა?!.
ბოლოს და ბოლოს კი ღირს სოფელი,
მართლა ნატრობდეს კაცი ყამს გრძელსა.

აქ არაფერი მეუცხოვება,
ვითომ შაირი მითქვამს ზეპირად;
ნეტა, შენსავით, ჩემი ცხოვრებაც
ისევ თავიდან დამანყებინა!..

ჭერემო,
შენი
ჭერის
ჭირიმე,
ლექსს გიბედავ თუ ხავსს ვეჭიდები? —
ერთი სტრიქონი გამაჭიმინე,
ზედ რომ ნოტებად დასხდნენ ჩიტები!..

დუმილს შეერყა შავი წიაღი
და ხალხიც რწმენით აღიჭურვა-რა,
ისევ დაუდგა ყამი წიაქის
ათასი წლის ნინ ჩაყრილ ჭურ-მარანს.

ახლა თუ არა, გეტყვი როდის-ღა, —
ვხედავ — დამშია ნანატრი რთველი, —
მე ვარ დამსხმელი შენთვის ოტბისა
და კერის კვამლით კომლების მთველი.

ვით სასნაული ღვივის ხვითოში,
შენს ყოველ ბელტსაც ასე ვუცქერი;
გაცოცხლდი, როგორც გმირი მითოსის,
რადგან სიჩუმეს ვერ გაუძელი.

მე რომ წამალი წამიცხო სტრიქონს,
გამიხალისა მე რომ გუნება, —
კეთილი იყოს,
კეთილი იყოს,
მზისკენ ეგ შენი შემობრუნება!..

დღეს თუ ნორჩი ხარ,
ჯერით მჯერა, რომ
ხვალ უფრო მსუყე ლხინი მოგელის;
ჭირიმე
შენი
ჭერის,
ჭერემო,
ჭირს წაუღია ჭირის მომკელი!..

შენ მომანიჭე ძალა ორწილი,
თუ საკადრისად ვერ შემოვძახე,
და ძველებურად დამალოცვინე
შენი პირველი აკვნის მოსახლე!..

მისაგებელი ყველას მიაგე,
მარცვლად გლეხკაცის აზრი მოთესე,
მერე აიგე ციხესიმაგრე
და მეციხოვნედ დამსვი კბოდეზე.

სადმე, შენს ახლო გავშლი ალაჩოყს,
მცემდეს სურნელი წმინდა მოსავლის,
რომ შთაგონებას დავუდარაჯო
და ღირსეული გითხრა ოსანი!..

როგორ იფეთქა გულში სიამემ:
კვლავ დაირნაო ჭერემს აკვანი,
მოიხილესო ძველი ლაგვანი —
თქვენ პირს შაქარი!..
თქვენ პირს შაქარი!..

კომუნისტი

საკვირაო საკითხავი

მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების დიდ საქმეში შესარჩევი (მისაღები) გამოცდები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი და მთელი ჩვენი საზოგადოების მუდმივი ყურადღების საგანია. გასული აგვისტოს საგამოცდო დაძაბულობა და ამით გამონვეული ღელვა ჯერ არ დამცხრალა. მომავალ გამოცდებზე ზრუნვა კი აქედანვე უნდა დავიწყოთ. ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების ორგანიზაციაში არსებული ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია მოსაგვარებელი. ეტყობა, ზოგი რამ უნდა დაიხვეწოს გამოცდების ჩატარების წესებშიც. ამ საკითხს ეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის — გ. ნიბახაშვილის პრობლემური წერილი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

გამოცდები შიგნიდან და გარედან

ნიშნის წონა

გზა გამსვლელი ქულისაკენ

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღესდღეობით ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი საკონკურსო გამოცდები ერთ-ერთი მეტად აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემაა.

მისაღები გამოცდების ცნობილი დევიზი „უმაღლეს სასწავლებლებში — მხოლოდ საუკეთესონი!“ დიდებული მოწოდებაა, ოღონდ მისი უზადოდ განხორციელების ძირითადი ფორმა — საკონკურსო გამოცდები — უკვე კარგა ხანია დახვეწას საჭიროებს.

რა მასალა უნდა იცოდეს ამა თუ იმ საგანში აბიტურიენტმა — ეს განსაზღვრულია ოფიციალური პროგრამებით. მაშასადამე, გამოცდის მიზანია დაადგინოს, ვინ როგორ იცის მასალა. მიზანი განსაზღვრავს ძიების ხასიათსა და მიმართულებას. ეს რთული პედაგოგიური პრობლემა, სამწუხაროდ, გადასაჭრელია, რადგანაც საკონკურსო გამოცდების მეთოდიკა არ არსებობს (საკონკურსო გამოცდები კი არსებობად განსხვავდება, ვთქვათ, გამოსაშვები გამოცდებისაგან). შესარჩევი (საკონკურსო) გამოცდების მეთოდიკის არარსებობამ პრაქტიკაში დაამკვიდრა ორი უარყოფითი რამ. პირველი: გამოცდაზე მოწმედად არა საგნის, არამედ ამ საგნიდან ამოღებული და ბილეთის სახით შეთავაზებული სამოთხი საკითხის ცოდნა. ამ საბილეთო საკითხების ფარგლებს გარეთ გასვლა, ფაქტობრივად აბიტურიენტისათვის ბეწვის ხიდზე სიარულია და არავითარი მოულოდნელობა არ არის გამორიცხული. დიდი ფსიქოლოგობა როდია საჭირო, რომ კომისიის თავმჯდომარესთან მისული „ფრიადის“ მაძიებლის საცრის რაღლიეთ დამრგვალებულ თვალებში, ტირილსა და ლაპარაკს შორის დახლაკნილ ტუჩებში და ნერვიულად ატოკებულ ნესტოებში დაინახო იმის უზარმაზარი შიში, თუ რას ეძებს გამომცდელი. რა იცის აბიტურიენტმა, თუ რა არ იცის.

მართლაც, რას უნდა ვეძებდეთ გამოკითხვისას — ცოდნას თუ არცოდნასს? თუ, რასაც წავაწყდებით, იმით უნდა დავკმაყოფილდეთ? უნდა მოქმედებდეს კონკურსის დონე გამოცდის დონეზე თუ არა? აქვს თუ არა რაიმე მორალურ-ფსიქოლოგიური გამართლება გამომცდელის შეცდომას, დაუდგერობას, ამბიციას თუ გავითვალისწინებთ, რომ გამომცდელის ყოველი უზუსტობა ძალზე ძვირად უჯდება კონკურსზე მოსულ ახალგაზრდას?

რადგანაც საკონკურსო გამოცდების მეთოდიკა არ არსებობს, ასეთი გამოცდების ჩატარება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც ამ საგანთან არის დაკავშირებული თავისი განათვლებით. ასეთი „დაშვების“ შედეგია, რომ ზოგჯერ საგნობრივ კომისიაში აღმოჩნდება ხოლმე პიროვნება, რომელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სწავლებისა და გამოკითხვის მეთოდურ საფუძვლებზე, ხშირად არც საპროგრამო მასალაში ერკვევა სათანადოდ და ამის გამო ნიშნის დაწერის დროს იგი მეტწილად მოქმედებს საკუთარი ინტუიციით ან სუბიექტურად მიღებული გადაწყვეტილებით.

მაშასადამე, დადგა დრო, შეიუშავდეს ყოველ საგანში მისაღები გამოცდების მეცნიერულ-მეთოდური პრინციპები, რომელთა ცოდნა ისევე აუცილებელი იქნება საგნობრივი კომისიის წევრთათვის, როგორც თვით საგნის ცოდნა. ბევრმა არ იცის, რა ძნელი და დაძაბულია საგნობრივი კომისიის წევრის მუშაობა: უნდა გაუძლო მთელი თვის განმავლობაში დღეში 12-16-საათიან შრომას, უნდა გაუძლო უზარმაზარ მორალურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას, რასაც გამომცდელი განიცდის შინ და გარეთ. და მაინც საკონკურსო კომისიის წევრს არა აქვს შეცდომის უფლება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მისი შეცდომა ძვირად უჯდება აბიტურიენტს, მეორეც — რანგი არ აძლევს ასეთ უფლებას. დღეს საჩივლელად, პრეტენზიებზე აბიტურიენტი მარტო აღარ მოდის — მას ახლავს მშობლებისა და საგნის სპეციალისტთა ამალა, რომელთა წინაშეც მხოლოდ ნაწერის სწორების მაღალი დონით იმართებან თავს. აი ტრაგიკომიკური სურათი: აბიტურიენტს გამოთქმები ან აზრები დაუწუნეს — მცდარიაო. მეორე დღეს მას (ან მის მშობლებს) მოაქვთ სოლიდური წიგნები, სადაც ეს გამოთქმებია ნახმარი, და ნიშნის მოგებით ამტკიცებენ თავიანთ სამართლეს, კომისიის წევრი კი უმწეოდ ბეჭუტურებს, რაღაც სხვა ხავსს ეპოტინება საკუთარი „სახის“ გადასარჩენად. ამიტომ უნდა დავიცვათ მკაცრი, შეიძლება სასტიკიც, მაგრამ სამართლიანი წესი: კომისიაში არ უნდა იყოს გამომცდელი, რომელიც აბიტურიენტის დონეზეც არ იცნობს საგნის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას ან ერთმანეთში ურევს აღიარებულ დებულებებსა და საკუთარ სუბიექტურ შეხედულებებს.

ეს რომ გაკეთდეს, საერთოდ უნდა მოვეშვათ უაზრო დახუჭობანას თამაშს საგნობრივი კომისიების დაკომპლექტების დროს. დამალული მაინც არაფერი რჩება. საქმისათვის კი გაცილებით უკეთესი იქნება, თუ საგნობრივი საგამოცდო კომისიების წევრებს დროულად ოფიციალურად ჩაუტარდებათ სათანადო სემინარ-ინსტრუქტაჟი მუშაობის საერთო კრიტერიუმების დასადგენად, მეიცემათ საშუალება სრულად გაიხსენონ ის მასალა, რომლის ცოდნაც მათ უნდა შეამოწმონ.

გადასასინჯია ცოდნის შეფასების არსებული ნორმები, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამ ნორმების სრულად გამოყენებაა საჭირო. ამჟამად აბიტურიენტის ცოდნა ფასდება ოთხქულიანი სისტემით: ორი, სამი, ოთხი, ხუთი. „ორიანი“, კონკურსისდან გამომთიშელი ნიშანია. ცოდნის დადებითად შეფასებისათვის გვრჩება „სამი“, „ოთხი“, „ხუთი“. როგორც ვხედავთ, დადებითი ცოდნის უმდაბლეს და უმაღლეს დონეებს შორის მხოლოდ ერთი საფეხურია, თუმცა მათ შორის, მანძილი გაცილებით მეტია, ვიდრე ქული „4“ გამოხატავს. საჭიროა კიდევ ერთი საფეხური, ერთი შუალედი. ამის გაკეთება შეიძლებოდა შეფასება „ერთის“ შემოღებით, რომელიც გამოცდებიდან გამოთიშავდა აბიტურიენტს, შეფასება „ორი“ კი საკონკურსო ნიშნად დარჩებოდა. ეს იქნებოდა ცოდნის შეფასების ხუთქულიანი სისტემა, რომელიც განასხვავებდა უვიცს („ერთი“) სუსტად მცოდნისაგან („ორი“).

თუ „ორიანის“ „ღირებულების“ გადასინჯვა არ მოხერხდება, შეიძლება საჭირო შუალედური ქულა სხვა გზით მოვძებნოთ— „სამის“ შემდეგ შემოვიღოთ შეფასებები ნახევარი ქულის სიზუსტით: „3“, „3,5“, „4“, „4,5“, „5“. ამისი პრეცედენტი პრაქტიკაში უკვე არის — ატესტატის ქულა.

ოფიციალურად უნდა აღდგეს „მაპროფილებელი საგნის“ (ცნება და არა ცხოვრების მიერ ერთხელ უკვე დაწუნებული და უარყოფილი წესი) და ამ საგნაში, მიღებულ ნიშანს უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭოს.

საგამოცდო საგანთა შორის ურთიერთმიმართება შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: მაპროფილებელ საგანში აბიტურიენტს მოეთხოვება ცოდნის მაქსიმუმი (პროგრამის მიხედვით, ცხადია), სხვა საგნებში — მინიმუმი მაინც. თანაბარ პირობებში უპირატესობა მაპროფილებელი საგნის ნიშანს მიენიჭოს. ამჟამად არსებული ოთხ ნიშნის ჯამის პრინციპი ვერ თვალსაწიერებს ახალგაზრდის მოწოდებისა და სწორი პროფორიენტაციის გამოკვლევის უაღრესად მნიშვნელოვან აუცილებლობას. აკი ამიტომ არის, რომ ბევრ სასოწარკვეთილ ახალგაზრდას წლების განმავლობაში დაეკარგა საბუთები ერთი ფაკულტეტიდან მეორეზე, შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ბოლოს და ბოლოს ეგზამენ სადმი ბეზარ ... [illegible] ...





კახეთი

სურათებზე: სახტუმრო „კახეთი“ და ერეკლე მეორის ძეგლი თელავში; ალავერდის ტაძარი.
ა. სააკოვის ფოტო.

(დასასრული)

მოძებნაც? ეს ხომ უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა, რომელიც სასიკეთოდ წაადგებოდა ჩვენს სკოლას.. ერთი ფეხის ხმას აყოლილი კაცი საუკეთესო პედაგოგებს ეძებდა შვილის მოსამზადებლად, ლაპარაკში კი წამოსცდა: პედაგოგიურზე ჩარიცხულს სამედიცინოზე ჩაჭრილი მირჩევნიაო.

კარგი იქნებოდა, ერთ საგანში წარჩინების მოწმობის შემოღება. როგორც ცნობილია, ოქროსმედალოსან „უნივერსალთან“ რიცხვი მცირეა (გულახდილად რომ ვთქვათ, უფრო ნაკლებიც უნდა იყოს), ვერცხლის მედალი საერთოდ აღარ არსებობს. დაიკარგა, გაქრა ფრიადოსნის ცნებაც. ფრიადოსნის ატესტატს (თუ მედალი არ ახლავს) მორალური ღირებულება არა აქვს — ის მხოლოდ უმაღლესში მიტანილი ხუთი ქულაა, თუმცა ასეთივე ფრიადოსანი — მედალოსანი ერთი საგნის ჩაბარების, ანუ ოცი ქულის უპირატესობით სარგებლობს. მაგრამ არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებიც გამოირჩევიან ერთ რომელმე საგანში, თუმცა ვერ ბრწყინავენ სხვა დანარჩენებში. პედაგოგიურად გამართლებული უნდა იყოს ერთ საგანში ფრიადოსნობის ოფიციალურად აღიარება და ცოდნისა და შრომის დაფასება სათანადო მოწმობით. სწავლის გაგრძელების შემთხვევაში ამგვარი მოწმობის პატრონი განთავისუფლდებოდა ამ საგანში გამოცდისაგან (ჩაეთვლებოდა აკოლაში მიღებული უმაღლესი შეფასება). მომავალი სპეციალობის ამორჩევის სისწორეზედაც დადებით გავლენას მოახდენდა მოსწავლის მიდრეკილებანი და ცოდნის კრიტერიუმების სიზუსტე. მასწავლებლის შრომას გააადვილებს და ამავე დროს კონკრეტული შინაარსით გამდიდრებს მას. გაადვილებდა მოსწავლეთა პროფორიენტაციას. მოზარდები დარწმუნდებიან, რომ სკოლა, მასწავლებლები ზუსტად აფასებენ თითოეული მათგანის ძლიერ და სუსტ მხარეებს და კეთილად ეხმარებიან სწორი გზის არჩევაში.

ცალკე უნდა ითქვას ე. წ. პრეტენზიებზე. აბიტურიენტი უკმაყოფილოა ნაწერში მიღებული ნიშნით და მოითხოვს — მაჩვენეთ ჩემი ნამუშევარიო. ზოგჯერ ეს მოთხოვნა მხოლოდ ცნობისმოყვარეობაა: ადამიანს სურს ნახოს, რა შეცდომები დაუშვა. მაგრამ ეს იშვიათი მოვლენაა. პრეტენზიაზე მოდიან იმ სურვილითა და იმედით, რომ ნიშანი ამაღლდეს. თითქმის ყველა მომჩივანს მიაჩნია, რომ მას ნიშანი დააკლეს და იწყება ყოველი ხაზგასმული შეცდომის მისხალ-მისხალ აწონ-დაწონა, დავა, ჩხუბი, მოუზომელი ლაპარაკი.

რა არის პრეტენზია? თუ პირდაპირ ვიტყვით, ეს არის უნდობლობა საგამოცდო კომისიის კომპეტენტურობისა და სამართლიანობის მიმართ. მომჩივანს ეჭვი ეპარება, რომ მისი ნაწერი მცოდნე და პატიოსანმა ხელმა გასინჯა. ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა და პრეტენზიების რაოდენობისა და მათი გამოხატვის ფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ ბრალდებას განზოგადების ტენდენცია აქვს.

არავისთვის ნამუსის მოწმენდას არ ვაპირებთ. ეჭვისა და უნდობლობის მიზეზები საკმაოდ იყო და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის. საყოველთაოდ ცნობილია ის უკომპრომისო ბრძოლა, რომელიც გამოეცხადა მისაღებ გამოცდებში არსებულ ნეგატიურ მოვლენებს. ეს ბრძოლა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, ოღონდ ერთი ან ორი უნამუსოს და უვიცის გამო ყველა ხელაღებით არ უნდა ილანძღებოდეს. კონტროლი, რა თქმა უნდა, საჭიროა, საჭიროა გამოცდების პროცესის დახვეწილი, კარგად გააზრებული ფორმალიზაციაც (ფორმალიზმ ად არავინ გამიგოს), მაგრამ თავიდათავი მაინც გამოცდელის პირადი პასუხისმგებლობაა. ნაწერის გამსწორებლის დაუდევრობით უმართებულოდ დაწერილი ნიშანი უნდა გადასწორდეს — აბიტურიენტი არ უნდა დაზარალდეს, — გამსწორებელს კი პასუხი მოეთხოვოს, რატომ ჩაყენა კომისია უხერხულ მდგომარეობაში, რატომ შექმნა მითქმა-მოთქმის საბაბი (ეს ეხება „ოთხიანებსა“ და „სამიანებს“, რადგანაც „ხუთსა“ და „ორზე“ ხელს აწერს და პასუხს აგებს კომისიის თავმჯდომარეც).

კომისიის აუგად ხსენება ერთგვარ მოდად იქცა, განუსჯელ მოდად. იშვიათი არ არის ასეთი სცენა: მომჩივანს აჩვენეს მისი ნაწერი, ყოველ ი წითელი ხაზი ციცხლის ალში გაატარეს (აქ უკვე გამსწორებელ ი აბარებს უსასტკ ე ს გამოცდას). აღმოჩნდა, რომ სადავო არაფერია, ყველაფერი გაირკვა და ამით ლაპარაკ ი ც უნდა დამთავრდეს, მაგრამ რომელიმე დიდი ხნის წინათ ზრდადამთავრ ებ უ ლი პიროვნება მაინც იკადრებს უკადრისს, უგვანო და ღირსებას მოკლებული ნათქვამით დაამძიმებს ჰაერს.

არსებული კანონის თანახმად, საპრეტენზიო კომისიაში მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლება. მაგრამ ზოგიერთი საჩივარს იწყებს ზემდგომ ორგანოებში — აქვს უფლება და ჩივის. ეს ჩივილი თვეების განმავლობაში გრძელდება და მისი მიზანი ერთია — არა სამართლიანობის დადგენა, არამედ მაღალი ნიშნის მიღება.

უსაფუძვლო პრეტენზიების ნიაღვრის გადაკეტვის მთავარი გზა საგამოცდო კომისიების მუშაობის დონის ამაღლებაა: ნიშანი ისე უნდა იწერებოდეს, რომ იგი სერიოზული დავის საფუძველს არ ქმნიდეს — სპეციალისტისთვის მაინც. ხოლო უკიდურესად გამწვავებული შემთხვევებისათვის კი უნდა არსებობდეს, ვთქვათ, სამინისტროსთან ან სხვა ორგანოსთან აღიარებული და მიუკერძოებელი სპეციალისტებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ოპერატიულად განიხილავს საჩივარს და ადამიანს ავტორიტეტულ გადაწყვეტილებას. ასეთ გადაწყვეტილებას საბოლოო განაჩენის ფასი უნდა ჰქონდეს (თუნდაც ოფიციალური ცნობის გაცემით). ეს დაზოგავდა არა მარტო საჩივრების განმხილველთა დროსა და ენერგიას, არამედ თვით მომჩივანსაც.

დროც ზუსტად უნდა განისაზღვროს: სპეციალისტთა ჯგუფი პრეტენზიებს განიხილავს, ვთქვათ, 5 სექტემბრამდე.

ამ წერილში წამოყენებული წინადადებების განხორციელება არ ეწინააღმდეგება არსებული კანონების საერთო სულისკვეთებას. მხოლოდ ზოგიერთი კერძო დებულების გადასინჯვაა საჭირო. ქართველ კაცს უთქვამს, ცდა ბედის მონახვერეაო. იქნებ ვცადოთ, თუნდაც მცირე მასშტაბებით. ხომ ყველა გრძნობს, რომ საკონკურსო გამოცდების არსებული წესები სერიოზულ დავიწყას საჭიროებს. დახვეწისას კი უნდა გავითვალისწინოთ ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი რეალური მდგომარეობა — საკონკურსო გამოცდების უაღრესი დაძაბულობა და ხშირად მტკივნეული დრამატიზმიც. ამ გამოცდებს როგორღაც უნდა დავუბრუნოთ აკადემიზმი, სიმშვიდე, ჯანსაღი შეჯიბრის სახე. ათიათასობით ახალგაზრდა ადამიანის ნერვები, ფსიქიკა და განწყობილებაც ხომ ერის ქონებაა და გაფრთხილებასა და ყაირათიან ხარჯვას მოითხოვს.

გ. წიბახაშვილი,
პროფესორი.

დილიდანვე დაგვეკვეთეთ ერეკლეს ბიბლიოთეკა!



ნახეთ ტელევიზიით

მხატვრული ფილმები: 13.35 — „ეს ჩვენ არ გვისწავლია“ (საქ. ტ. II პრ.), 18.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „როგორ იწრთობოდა ფოლ ა დ ი,“, მე-6 სერია „უკვდავება“ (ც. ტ. IV პრ.), 20.40 — „ბრილიანტები პროლეტარიატის დიქტატურისათვის I და II სერია (ც. ტ. I პრ.). 22.45 — ქართული ფილმი — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია“ მე-5 სერია (საქ. ტ. I პრ.).

მულტიპლიკაც ი ო ს რ ი ფილმები: 11.30 — ცვრადენას ეკრანი (საქ. ტ. I პრ.), 15.30 — „სტუმრად ზღაპართან“ — გერმანული მხატვრული ფილმი „რეგენტრუდა“ (საქ. ტ. I პრ.), 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმები (საქ. ტ. II პრ.), 16.50 — „ჯადოსნური ზანზალაკი“ (ც. ტ. I პრ.).

მუსიკა: 10.05 — სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები (ც. ტ. I პრ.), 11.55 — მუსიკალური კოსკი (საქ. ტ. I პრ), 12.55 — კონცერტი (ც. ტ. I პრ.), 13.30 — რუსული სახელმწიფო გუნდის კონცერტი (ც. ტ. I პრ), 15.05 — მუსიკალური ფილმი (საქ. ტ. II პრ.), 19.15 — ვრცელია ჩემი სამშობლო. კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი (ც. ტ. I პრ.), 22.45 — ხელოვნების ოსტატთა და ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი (ც. ტ. IV პრ.).

სპორტი: 14.00 — ჰოკეი. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — სკა (ლენინგრადი) (ც. ტ. IV პრ.).

კინოთეატრებში

დოკუმენტურ ი ფ ილ მ ი „რუსული სინემა“ (ქრონიკა — 15, 16, 17, 18, 19), **„კაპიტან ვრუნგელის ახალი თავგადასავალი“** (ამერანი — 10, თანამგზავრი — 10.30, 12, 13.30 — ნაკადული — 10.30, 12, 13.30), **„გულჩვენრის მოგზაურობა“** (ქართული ფილმი — 11). ფილმი გათვალისწინებულია ნორჩი მაყურებლებისათვის. მასში მოთხრობილია გულიგერის საინტერესო მოგზაურობაზე ლილიპუტებისა და გოლიათების ქვეყნებში... **„მულტფილმების კრებული“** (ქრონიკა — 11, 12, 13, 14), **„როცა გოლიათი გავხდები“** (კომკავშრეული — 10, სპარტაკი — 10), **„მოდი, ვილაპარაკოთ“** I-II სერია (რუსთაველი — 11, 13.30, 16, 18.30, 21, ოქტ ო მბერი — 10, 12.30, 15, 17.30, 20), ფილმი სათავგადასავლო ჟანრისაა და მოგვითხრობს პატარა მიტკაზე და მის ძმაზე, რომლებიც პარტიზანულ რაზმში ხვდებიან ერთმანეთს... **„შფოთისთავი“** (საქართველო — 12, 14, 16, 18, 20, კომკავშირელი — 14, 16, 18, 20, 21.40), ამ კომედიურ ფილმში ასახულია პირველკურსელების ცხოვრება. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც მთავარი გმირია — სოფელი ჭაბუკი. მას ეკონომისტობა უნდა, რათა შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდეს და მოწინავეთა რიგებში ჩაყენოს იგი. ეს ჭაბუკი ყველაზე კოლორიტული მთელ კინოში. იგი შფოთისთავი და სიმართლის მაძიებელია...

თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

10 ოქტომბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი)

დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებისათვის ბილეთები გაიყიდება 8 და 9 ოქტომბერს დილის 10 საათიდან. ბილეთების საერთო გაყიდვა იწარმოებს 10 ოქტომბერს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის №№ 1-16 სალაროებში.

9 ოქტომბერს 18 საათზე საათადარიგო შემადგენლობის თამაში გაიმართება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

რედაქტორის მოადგილე
გ. გოგბიაშვილი.

ინფორმაცია—79

შეხვედრა მუშათა აუდიტორიასთან

თბილისში დიდი წარმატებით მიმდინარეობს მოსკოვის ტაგანკის დრამისა და კომედიის თეატრის გასტროლები. მაყურებლები უდიდეს ინტერესს იჩენენ სტუმრების ხელოვნებისადმი. რესპუბლიკურ პროფკავშირთა სასახლეში მათ სპექტაკლებს უკვე 15 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. ამ ფართო აუდიტორიას უნდა მივუმატოთ ისინიც, რომელთა წინაშე სტუმრების გამოსვლები განსაკუთრებით გულითად და უშუალო ვითარებაში მიმდინარეობს. ეს არის შეხვედრები სამრეწველო საწარმოებში, სოფლის მეურნეობის მშრომელებთან. მსახიობები ესტუმრნენ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივს. მათ დიდი ინტერესით დათვალიერეს საამქროები, გაიცნეს მუშები, ინჟინრები. შემდეგ სააქტო დარბაზში დედაქალაქის თეატრის მსახიობებს მიესალმნენ გაერთიანების მრავალათასიანი მუშათა არმიის წარმომადგენლები. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ დამსწრეთ მოუთხრო „მეგობრობის თეატრის“ მიზნებსა და ამოცანებზე, რომლის სტუმრები არიან ტაგანკის თეატრის მსახიობები. მუშათა აუდიტორიას აჩვენეს ნაწყვეტები თეატრის საგასტროლო რეპერტუარის სპექტაკლებიდან — „განთიადი კი აქ წყნარი იცის...“, „ჰამლეტი“, „ხის ცხენები“... ამ დაუვიწყარი შეხვედრის დასასრულს საწარმოს წარმომადგენლებმა დიდი მადლობა გადაუხადეს შემოქმედებითს კოლექტივს მათი ცხოვრებისეული სიმართლის ამსახველ ხელოვნებასთან შეხვედრის სიხარულისათვის.

რესპუბლიკის მშრომელებთან მოსკოველი მსახიობების შეხვედრების მარშრუტებმა სტუმრები კახეთში მიიყვანა, სადაც მონწილეობა მიიღეს რთველში. ტრადიციისამებრ დღის ბოლოს მოსკოველებმა მშრომელებს უჩვენეს ნაწყვეტები თეატრის საუკეთესო ნამუშევრებიდან.

□

ხელვაჩაურიდან — ინგლისში

ქართველი სპეციალისტების მიერ შემუშავებული ხსნადი ჩაის წარმოების ტექნოლოგიის პატენტი შეიძინეს ინგლისში. სწორედ ეს ქვეყანა გახდება ახალი საკვები პროდუქტის პირველი საზღვარგარეთელი მომხმარებელი.. ამ პროდუქტს გამოუშვებს ხელვაჩაურის ხსნადი ჩაის ქარხანა. მისი სიმძლავრე შეადგენს ორი ათას ტონას წელიწადში, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას ჩაის ფხვნილზე, რომელიც განკუთვნილია ექსპედიციებში, ლაშქრობებში, შორეულ მგზავრობაში სახმარად.

ხსნადი ჩაი პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში. მას წარმოებენ ინდოეთი, იაპონია, აგრეთვე ის ქვეყნები, რომლებიც არა აქვთ საკუთარი ჩაის წარმოება — ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცია. მისგან ძირითადად ამზადებენ გამაგრილებელ მატონიზებელ სასმელებს სხვადასხვა არომატიზატორის დამატებით.



ნიშნის ფინა

მესამე უქუდო ფრე

გულშემატკივრის ცნობარი

ისევ ძლიერი მეტოქე

„ჰამბურგერ შპორტფერაინი“ („ჰამბურგის სპორტული კავშირი“), ან, უბრალოდ, „ჰამბურგი“, ერთ-ერთი უძველესი გუნდია ევროპაში. დაარსდა 1887 წელს. იგი გერმანიის სამგზის ჩემპიონი (1922, 1928, 1928 წლებში) და უამრავი გათამაშების პრიზიორია. 1960 წელს გფრ-ს ჩემპიონი გახდა, 1963 წლიდან კი, როდესაც ბუნდესლიგა ჩამოყალიბდა, უცვლელად თამაშობს ამ მეტისმეტად ძლიერი შემადგენლობის ჩემპიონატში და ორჯერ ქვეყნის თასიც მოიპოვა. გუნდს აქვს საკუთარი სტადიონი „როტენბაუში“ (იტევს 25 ათას მაყურებელს), მაგრამ, რადგან დიდძალი გულშემატკივარი ჰყავს, ძირითადად თამაშობს ქალაქის მთავარ „ფოლპარკშტადიონზე“ (იტევს 91 ათას მაყურებელს). „ჰამბურგში“ თამაშობდნენ გფრ-ს ნაკრების ცნობილი ფეხბურთელები პოსიპალი, შულცი, სახელოვანი უ. ზელერი, დიორფელი და სხვები.

1976 წელს „ჰამბურგმა“ ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასი მოიპოვა.

„ჰამბურგი“ მეტად მდიდარი კლუბია. მისი დირექტორატი ადრე უკმაყოფილო იყო გუნდის შედეგებით, რის გამოც უკანასკნელი წლების მანძილზე არაერთი უცხოელი და გერმანელი ფეხბურთელი შეიძინა. აი ზოგიერთი მონაცემი, რომელიც გამოაქვეყნა პრაღის ჟურნალმა „გოლმა“ საყურადღებო სათაურით „ჰამბურგი, კიგანი და ფულის ფრანალი“.

„1977 წელს გუნდმა შეიძინა კიგანი („ლივერპულიდან“, 2 მილიონ მარკად) და ბულიანი (სპლიტის „ჰაიდუკიდან“, 600 ათას მარკად), ერთი წლის შემდეგ — ჭრუბეში (ესენი „როტოვაისიდან“, 1 მილიონ 300 ათას მარკად) და ჰარტიგი („მიუნხენ 1860“-დან, 600 ათას მარკად). შემდეგ შეიძინეს ნახევარმცველი ბილუკენი და ვემაიერი...“

1978-79 წლების ჩემპიონატში „ჰამბურგი“ ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა. მან ეს პირველობა ძალიან კარგად წარმართა და 34 მატჩში 49 ქულა მოაგროვა (ბურთების შესანიშნავი შეფარდებით — 78-32).

1979-80 წლების ჩემპიონატი მძაფრი ბრძოლით დაიწყო. „ჰამბურგი“ ძალ-ღონეს არ ზოგავს თავისი წოდების შესანარჩუნებლად და ჩინებულადაც თამაშობს. ძალზე საინტერესოა ყველაზე პოპულარული დასავლეთგერმანული მწვრთნელის ჰენეს ვაისვაილერის (იგი სათავეში უდგას „კიოლნს“) განცხადება — „ჰამბურგისათვის“ ჩემპიონობის წართმევა ძალიან ძნელი იქნებაო. 6 ტურის შემდეგ ჩემპიონი პირველ ადგილზე იყო, მაგრამ მეშვიდეში დამარცხდა მაინის ფრანკფურტში „აინტრახტთან“ — 2:3.

ამ მეტად დრამატულ მატჩში ჰამბურგელებიდან ორივე ბურთი გაიტანა იუგოსლაველმა ბულიანმა, ხოლო მეკარე კარგუსმა პიოლეენბაინის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი მოიგერია.

ახლა „ჰამბურგი“ 7 თამაშიდან 9 ქულით მეოთხე ადგილზეა. მას 4 მოგება, 1 ფრე და 2 წაგება აქვს, ბურთების სხვაობაა 15-8. ჩემპიონს უსწრებენ დორტმუნდის „ბორუსია“ (11 ქულა), მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი“ და „შტუტგარტი“ (10-10 ქულა).

გუნდს ხელმძღვანელობს თავიანებური „დუუმვირატი“ — გფრ-ს ნაკრების ყოფილი წამყვანი ნახევარმცველი გიუნტერ ნეცერი (მენაჯერი) და დიდად გამოცდილი იუგოსლავიელი სპეციალისტი, წარსულში ამ ქვეყნის ნაკრების კაპიტანი ბრანკო ზებეცი (უფროსი მწვრთნელი). ზებეცი თავის დროზე მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სწავლობდა ზეპ ჰერბერგერთან, შემდეგ იუგოსლავიისა და დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა გუნდს ედგა სათავეში, ხოლო ერთხელ მიუნხენის „ბაიერნი“ გფრ-ის ჩემპიონიც კი გახადა.

„ჰამბურგს“ არაერთი გამოჩენილი ოსტატი ჰყავს. მათ შორის ყველაზე უფროსი დიდი სახელი აქვს 28 წლის კევინ კიგანს, წარსულში „ლივერპულის“ კაპიტანს. კიგანი არა მარტო „ჰამბურგის“, არამედ ინგლისის ნაკრების წამყვანი მოთამაშე და კაპიტანია. კიგანი გფრ-ს ჩემპიონატის №1 ფეხბურთელად და ევროპის უძლიერესი ფეხბურთელის ჯილდოს „ოქროს ბურთის“ მფლობელია. შარშან მან 17 ბურთი გაიტანა ჩემპიონატში, მაგრამ მიმომხილველთა აზრით, იგი ჯერ კიდევ არ არის თავის საუკეთესო ფორმაში.

ევროპელ ჩემპიონატში „ჰამბურგს“, დებულების თანახმად, ორი უცხოელის გამოყენების უფლება აქვს. ეს მეორე გახლავთ „სნაიპერი მცველი“ ივანე ბულიანი. იგი 30 წლისაა.

დასავლეთ გერმანიის ნაკრებში გამოდის მცველი კალეი (26 წლისა). ამავე ნაკრებში არაერთხელ უთამაშიათ მეკარე კარგუსს (27) და მცველ ნოგლს (32). ახლა, როდესაც „ბუნდესკაპიტენი“ (უფროსი მწვრთნელი) დურვალი ახალისებს ნაკრების შემადგენლობას, შესაძლებელ კანდიდატებს შორის დასახელებული არიან „ჰამბურგის“ ნახევარმცველები მაგათი (26 წლის) და მემერინგი (26).

ჩემპიონთა თასის პირველ წრეში „ჰამბურგი“, ასე ვთქვათ, „ისვენებდა“, მან რეკი